კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2012 წლის საქმიანობის ანგარიში

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

თბილისი 2013

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ქ. თბილისი, პეკინის გაზმ. N28 / (+99532) 2 148 881

procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

ბეჭდვა: შპს "Exclusive Print +" (+99532) 2 381 908

სარჩევი

წინასიტყვაობა	2
კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხედვა	3
სააგენტოს სტრუქტურა	4
სააგენტოს ძირითადი აქტივობები	4
რა შედეგი მივიღეთ	6
CPV კოდები	22
შავი სია	23
თეთრი სია	24
დავების საბჭო	26
მონიტორინგი და კომუნიკაცია	28
კონკურსი	29
საზოგადოების ინტერესი e-სისტემის მიმართ	30
კონკურენციის სფეროში განხორციელებული საქმიანობა	32
როგორ შეგვაფასეს	34
ჩვენი პარტნიორები	35

2012 წლის განმავლობაში კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გააგრძელა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმირების პროცესი, რომლის უმთავრეს მიზანს, ამჯერად, დამკვიდრებული ელექტრონული სისტემის მუდმივი დახვეწა წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის არსებობის ისტორია ჯერ ძალიან მოკლეა, უკვე გამოიკვეთა, ერთის მხრივ, სისტემის უდიდესი როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო სახსრების უპრეცედენტოდ გამჭვირვალე ხარჯვის უზრუნველყოფის კუთხით, ხოლო, მეორეს მხრივ, სისტემის მოქნილობის გაზრდისკენ საჭირო გადასადგმელი ნაბიჯები. სწორედ 2012 წლის განმავლობაში სააგენტომ შეძლო როგორც საკუთარი ძალისხმევით, ასევე საზოგადოების დახმარებით სისტემის გაუმჯობესების გარკვეული პოტენციალის გამოვლენა და დამატებითი სიახლეების დასანერგად საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

2012 წლის მონაცემები საფუძველს გვაძლევს კიდევ უფრო ოპტიმისტურად განვეწყოთ და მეტი მონდომებით გავაგრძელოთ დაწყებული რეფორმა, მსოფლიოში ერთ–ერთი საუკეთესო შესყიდვების სისტემის შექმნისათვის.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია გააცნოს მკითხველს როგორც სააგენტოში მიმდინარე აქტივობები, ასევე შეუქმნას წარმოდგენა ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის შესახებ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხედვა

სააგენტოს ხედვაა, შექმნას გამჭვირვალე, კონკურენტულ და სამართლიან პრინციპებზე დაფუძნებული პირობები, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდება სახელმწიფო სახსრების რაციონალურად გამოყენება შემსყიდველებსა და მიმწოდებლებს შორის მარტივი და კომფორტული ტრანზაქციების საშუალებით. სწორედ სააგენტოს ხედვიდან გამომდინარეობს მის მიერ გაწეული სერვისებისა და განხორციელებული აქტივობების ერთობლიობა, დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო წინაპირობების დასაკმაყოფილებლად. ეს წინაპირობებია:

- სააგენტოს თანამშრომელთა ძლიერი და ერთიანი გუნდი, სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო ანალიზის წარმოებისათვის, ინოვაციების დანერგვისათვის და მონიტორინგის განხორციელებისათვის;
- შემსყიდველი ორგანიზაციების კომპეტენტურობა და მაღალი შესყიდვების კულტურა, ელექტრონული სისტემის პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის;
- კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო შესყიდვაში წარმატებულად მონაწილეობისათვის.

სააგენტოს სტრუქტურა



სააგენტოს ძირითადი აქტივობები

ზედამხედველობითი, ანალიტიკური, საგანმანათლებლო და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ფუნქციების განხორციელების პროცესში, 2012 წლის განმავლობაში კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განახორციელა მრავალი აქტივობა, რომელთაგან გამოვყოფდით შემდეგ ძირითად საკითხებს:

- იანვარი 2012: დაარსდა ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც 2012 წლის განმავლობაში პასუხი გაეცა 3,017 შეკითხვას. განხორციელდა დასმული შეკითხვების ანალიზი, რის შედეგადაც ხშირად დასმული შეკითხვები და სათანადო პასუხები განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

- მაისი 2012: შეიქმნა კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი - თეთრი სია, რომელიც ელექტრონულად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- ივნისი 2012: შემუშავდა ორეტაპიანი ტენდერის ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელი; შემუშავებული მოდელი გაეშვა სატესტო სისტემაში;
- ივლისი 2012: გამოქვეყნდა შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაცია;
- აგვისტო 2012: გამარტივდა თეთრ სიაში რეგისტრაციისათვის საჭირო მოთხოვნები;
- აგვისტო 2012: გაეშვა მიმწოდებლების მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის მოდული;
- სექტემბერი 2012: შემუშავდა მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია, რომელიც დაინერგა სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტში; ამავდროულად შეიქმნა მონიტორინგის პროცესების ავტომატიზაციის კონცეფცია, სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის;
- სექტემბერი 2012: შეიქმნა ბიზნეს ანალიტიკის სისტემა (Business Intelligence System), რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ მონაცემთა დამუშავება სათანადო ანალიზის წარმოებისათვის;
- სექტემბერი 2012: მომზადდა დავების განხილვის საბჭოს მოდერნიზებული მოდულის აღწერა;
- ნოემბერი 2012: გაუქმდა ყოველკვარტალური ანგარიშის წარდგენის ვალდებულება, რომელიც ჩანაცვლდა დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ფაქტობრივი გადახდების თაობაზე ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის წარმოდგენით;
- ნოემბერი 2012: სისტემაში დანერგვისათვის მომზადდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმების ელექტრონული მოდულის აღწერა;
- ნოემბერი 2012: შემუშავდა ტრენინგებისა და სემინარებისათვის სასწავლო კურსის პროექტი;
- დეკემბერი 2012: გამოცხადდა პირველი ელექტრონული კონსოლიდირებული ტენდერი;
- დეკემბერი 2012: შემუშავდა სახელმწიფო ტენდერებში არამართლზომიერი ქმედების გამოვლენის მეთოდოლოგია.

რა შედეგი მივიღეთ

განხორციელებული აქტივობების შედეგად, საქართველოში სახელმწიფო ტენდერები ტარდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სისტემა, რომლის ბმულიც განთავსებულია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge, წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ პორტალს, რომელიც აკავშირებს შემსყიდველებსა და მიმწოდებლებს. ამავდროულად, სისტემა იძლევა საშუალებას, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ტენდერის, სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის სპეციფიკისა და დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ.

დარეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციები მარტივი პროცედურების გავლით სატენდერო განცხადებებსა და დოკუმენტაციას აქვეყნებენ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - e-სისტემა), რაც მიმწოდებლებს უმარტივებს სახელმწიფო სექტორის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიებას. როგორც რეგისტრირებულ მიმწოდებლებს, ასევე სტუმრის სტატუსით მოსარგებლე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მრავალფუნქციური ძებნის ველების გამოყენებით მარტივად მოიძიოს მისთვის საინტერესო შესყიდვის ობიექტზე გამოცხადებული ტენდერი, საფასურის გადახდის გარეშე ჩამოტვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია, დარეგისტრირდეს e-სისტემაში და მიიღოს მონაწილეობა მისთვის საინტერესო ტენდერში. e-სისტემაში დარეგისტრირებულ მომხმარებელს ასევე ეძლევა საკუთარი პროფილის შექმნის, მისთვის საინტერესო შესყიდვის ობიექტების მონიშვნისა და მონიშნულ შესყიდვის ობიექტებზე ტენდერების შესახებ მათი გამოცხადებისთანავე ელექტრონული შეტყობინების მიღების საშუალება.

2012 წლის ბოლოსთვის e-სისტემაში უკვე რეგისტრირებული იყო 14,801 მომხმარებელი, აქედან 3,927 შემსყიდველი ორგანიზაცია და 10,874 მიმწოდებელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია დარეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობის მაჩვენებელი, რომელიც გასული წლის განმავლობაში 2011 წელთან შედარებით 47 %-ით გაიზარდა.

2012 წლის განმავლობაში ერთიან ელეტრონულ სისტემაში მომხმარებელთა რეგისტრაციის დინამიკა აღწერილია პირველ და მე-2 დიაგრამებში, საიდანაც იკვეთება, რომ გაიზარდა როგორც მიმწოდებლების, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების რაოდენობაც.

დიაგრამა 1 გვიჩვენებს, რომ 2011 წლისგან განსხვავებით, 2012 წლის განმავლობაში, შემსყიდველი ორგანიზაციების რეგისტრაციის მაჩვენებელი წლის პირველ კვარტალში ჯარბობდა. რეგისტრაციების მატება განპირობებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედი, შედარებით

მცირე შემსყიდველების რეგისტრაციის პროცესით და შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ელექტრონული სისტემით სარგებლობის საჭიროების გაზრდით (მაგალითად, 2011 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ სისტემის მეშვეობით ანგარიშების წარდგენის აუცილებლობით). ამასთან ერთად, 2012 წლის განმავლობაში განხორციელდა გარკვეული ორგანიზაციული ცვლილებები, რის შედეგად შეიქმნა ახალი შემსყიდველი ორგანიზაციები.

 დიაგრამა 1:

შემსყიდველი ორგანიზაციების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის დინამიკა



რაც შეეხება მიმწოდებელთა რეგისტრაციის დინამიკას, რეგისტრაციის მაღალი მაჩვენებელი შენარჩუნდა 2012 წლის განმავლობაშიც, რაც სახელმწიფო შესყიდვების მიმართ მიმწოდებელთა მზარდ ინტერესზე მიუთითებს. დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ მიმწოდებელთა რეგისტრაცია მატულობს წლის დასაწყისსა და ბოლოში, როდესაც ჭარბობს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობაც. აღნიშნული კორელაცია მიუთითებს კერძო სექტორის მხრიდან ერთიანი ელექტრონული სისტემის სტუმრის სტატუსით აქტიურად გამოყენებაზე.

 დიაგრამა 2:

მიმწოდებლების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის დინამიკა



სისტემაში დარეგისტრირებული მიმწოდებლების განაწილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე და სხვა დანარჩენ სამართლებრივ ფორმებზე აღწერილია მე–3 დიაგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა დანარჩენი სამართლებრივი ფორმების მქონე მიმწოდებლების უმრავლესობას ინდივიდუალური მეწარმეები და ფიზიკური პირები შეადგენენ. 2011 წელთან შედარებით სისტემაში რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეთა და ფიზიკურ პირთა ზრდის ტემპი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატებოდა, რის შედეგადაც შპს-ების ხვედრითი წილი 66%–დან 62%–მდე შემცირდა. ორი წლის მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ 2012 წლის განმავლობაში e-სისტემაში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების რიცხვი 42%–ით 4,839 დან 6,893-მდე გაიზარდა. ამავდროულად, 52%–ით 1,830-დან 2,800-მდე გაიზარდა სისტემაში დარეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეთა რაოდენობა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების მიმართ ინტერესის მატებაზე მიუთითებს. ელექტრონული ტენდერების მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების დაახლოებით 80%–ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან დადებული ხელშეკრულებები შეადგენს.

დიაგრამა 3:

შპს–ებისა და სხვა სამართლებრივი ფორმის მიმწოდებელთა განაწილება ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2012 წლის ბოლოსთვის



მცირე და საშუალო მეწარმეების რეგისტრაციის მატებას, გარკვეულწილად, ეტაპობრივად შესყიდვის პრაქტიკა და, შესაბამისად, დაბალი მოცულობის ტენდერების სიჭარბე განაპირობებს.

დიაგრამა 4:

ელექტრონული ტენდერების სავარაუდო ღირებულებების განაწილება



2012 წლის განმავლობაში 29,191 ტენდერი გამოცხადდა, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ დაახლოებით 1.6 მილიარდი ლარი შეადგინა. დიაგრამა 4 გვიჩვენებს, რომ გამოცხადებული ტენდერების უმრავლესობა შედარებით მცირე მოცულობისაა და განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა – გამოცხადებული ტენდერების 48%-ში სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 10,000 ლარს, 81%-ში სავარაუდო ღირებულება ნაკლებია ვიდრე 50,000 ლარი.

დიაგრამა 5:
ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული შპს-ებისა და ინდ. მეწარმეების რაოდენობა.

მე–5 დიაგრამაში ნაჩვენებია, რომ ქვეყანაში მოქმედი აქტიური მეწარმეებიდან დაახლოებით ყოველი მე–10 უკვე დარეგისტრირებულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში.





დიაგრამა 6:

ყველაზე აქტიური 10 მიმწოდებელი

2012 წელი



N	მიმწოდებლები	ხელშეკ. რაოდენობა	ტენდერის რაოდენობა	ხელშეკ. თანხა
1	თეგეტა მოტორსი	365	480	12,344,950
2	სილქნეტი	269	291	4,452,352
3	ახალი მთვარე	186	321	3,530,916
4	კანც პაპერი	185	342	1,831,373
5	შ.პ.ს. "ალგორითმი"	175	256	6,143,579
6	შ.პ.ს. "ალტა"	127	217	2,965,768
7	მაი მობაილ +	124	209	786,646
8	ავერსი-გეოფარმი	110	181	5,143,864
9	სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი	99	140	1,578,942
10	Geosm	99	179	666,357
	ჯამი	**1,739**	**2,616**	**39,444,747**

2011 წელთან შედარებით, ცვლილებები შეინიშნება ტოპ 10 მიმწოდებლის ჩამონათვალში, რაც მიუთითებს შესყიდვების ბაზრის დინამიურობასა და კონკურენტულ გარემოზე. 2012 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ტენდერებში ყველაზე წარმატებულად მონაწილეობდნენ მე–6 დიაგრამაში მოყვანილი კომპანიები.



N	მიმწოდებლები	ხელშეკ. რაოდენობა	ტენდერის რაოდენობა	ხელშეკ. თანხა
1	თეგეტა მოტორსი	338	400	9,047,208
2	ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	267	298	27,424,737
3	სილქნეტი	189	263	3,300,511
4	ახალი მთვარე	129	223	4,232,136
5	ულტრა	127	214	1,399,697
6	ბონტო	115	210	2,155,988
7	ესაბი	102	193	4,229,997
8	შ.პ.ს. "ალტა"	97	155	1,947,155
9	დიო	87	96	1,343,428
10	კოლარტ-M	78	95	723,044
	ჯამი	**1,529**	**2,147**	**55,803,901**

დიაგრამა 7 ასახავს წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობრივ სტატისტიკას, როგორც 2011, ასევე 2012 წლისათვის. 2012 წელს ყველაზე მეტი ტენდერი იანვრის თვეშია გამოცხადებული, მაშინ როდესაც 2011 წელს გამოცხადებული ტენდერების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მარტის თვისთვის ფიქსირდება. შემსყიდველების ყველაზე ნაკლები აქტივობა შეინიშნება ორივე წლის შემოდგომის პერიოდისათვის.

დიაგრამა 7:
წლის განმავლობაში გამოცხადებული ტენერების რაოდენობრივი სტატისტიკა



დიაგრამა 8 გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა შესყიდვის ობიექტების კატეგორიებზე. დადებული ხელშეკრულებების ღირებულებითი მაჩვენებლები აღწერილია მე–9 დიაგრამაში. დიაგრამებიდან გამომდინარეობს, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით დომინირებს საქონლის შესყიდვაზე გამოცხადებული e-ტენდერები, რომელთა ხვედრითი წილი 54%–ს შეადგენს. ღირებულებითი მაჩვენებლის მიხედვით ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების დაახლოებით ნახევარი მოდის სამშენებლო სექტორზე. შესაბამისად, სამშენებლო სექტორთან დადებული ხელშეკრულების საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 4-ჯერ აღემატება საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც გამოწვეულია ცალკეული მრავალმილიონიანი ტენდერის ჩატარებით. მიუხედავად სამშენებლო სექტორში დაფიქსირებული მაღალი საშუალო სახელშეკრულებო ღირებულებისა უნდა აღინიშნოს სახელშეკრულებო ღირებულებების განაწილება: სამშენებლო სექტორში დადებული ხელშეკრულებების დაახლოებით 17% არ აღემატება 10,000 ლარს; ხელშეკრულებების 57%-ზე მეტი ფორმდება 50,000 ლარზე ნაკლებ თანხაზე.

მე-8 და მე-9 დიაგრამებიდან ასევე ჩანს, რომ სამივე შესყიდვის ობიექტებზე გამოცხადებულ ტენდერებში დაახლოებით ანალოგიური დანაზოგი იკვეთება, რომელიც სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში შესყიდვის ობიექტების მიხედვით 9,2%-დან 10,1%-მდე მერყეობს.

დიაგრამა 8:
დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა შესყიდვის ობიექტების მიხედვით



დიაგრამა 9:
ჯამური ღირებულების მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტის მიხედვით



	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია
საქონელი	482,957,453	436,979,235	45,978,218
სამშენებლო სამუშაოები	781,274,332	702,289,873	78,984,460
მომსახურება	278,825,547	253,178,118	25,647,429
ჯამი	**1,543,057,332**	**1,392,447,226**	**155,610,107**

e-ტენდერები განსხვავებული რაოდენობით ცხადდება სხვადასხვა ტიპის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ. ისევე, როგორც 2011 წელს, ყველაზე მეტი e-ტენდერი გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ.

დიაგრამა 10:

ტენდერების რაოდენობა სამართლებრივი ფორმების მიხედვით



სამართლებრივი ფორმა:

130 - სახელმწიფო ორგანო

140 - ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო

145 - ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო

150 - 50% მეტი სახ. წილ. საწარმო

180 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

190 - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ)

	130	140	145	150	180	190
1.2012	740	84	769	621	1,020	421
2.2012	664	66	790	842	960	244
3.2012	554	48	756	398	815	157
4.2012	405	78	735	349	715	145
5.2012	458	44	788	353	966	201
6.2012	470	61	884	439	1,137	141
7.2012	366	78	973	289	765	137
8.2012	340	83	495	234	685	189
9.2012	368	35	360	217	573	155
10.2012	98	18	149	229	401	138
11.2012	204	23	265	188	416	182
12.2012	356	44	444	423	725	228
ჯამი	**5,023**	**662**	**7,408**	**4,582**	**9,178**	**2,338**

დიაგრამა 11:

ეკონომია სამართლებრივი ფორმების მიხედვით



სამართლებრივი ფორმების მიხედვით განსხავდება მიღწეული დანაზოგის ოდენობა. დიაგრამა 11 გვიჩვენებს, რომ დანაზოგი 8–დან 12 პროცენტამდე მერყეობს.

მე-12 დიაგრამაში მოცემულია ის ათი შემსყიდველი ორგანიზაცია, რომლებმაც ყველაზე მეტი თანხა დაზოგეს საკუთარი ბიუჯეტიდან.

დიაგრამა 12:

ათი შემსყიდველი ორგანიზაცია მაქსიმალური დანაზოგის მიხედვით



N	ორგანიზაციის დასახელება	ეკონომია	ხელშ. ღირებულება	ხელშ. რაოდენობა	%
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	16,215,406	147,098,781	215	10
2	ქ. თბილისის მერია	13,487,861	137,974,921	430	9
3	შემოსავლების სამსახური	9,614,712	54,420,162	459	15
4	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	6,977,318	70,783,285	232	9
5	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	6,049,823	73,544,752	291	8
6	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	4,698,143	7,424,001	233	39
7	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	3,820,127	9,859,394	59	28
8	თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	3,680,065	25,803,145	172	12
9	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	2,135,870	8,862,238	109	19
10	ქოზულეთის მუნიციპალიტეტი	2,070,416	14,193,235	215	13
	ჯამი	**68,749,741**	**549,963,914**	**2,415**	**11**

მთლიანად, -სისტემის მეშვეობით 2012 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 155,610,107 ლარი დაიზოგა, რამაც ჯამური სავარაუდო ღირებულების 10 % შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებლები 2011 წლისათვის 191,487,127 ლარს და შესაბამისად ჯამური სავარაუდო ღირებულების 16.5%–ს შეადგენდა. გამომდინარე იქიდან, რომ კონკურენციის ინტენსივობა 2011 წელთან მიმართებაში გაიზარდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დანაზოგის პროცენტული მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან სავარაუდო ღირებულების უფრო ზუსტი დაანგარიშებით.

ცალკეული სექტორების მიხედვით, გამოცხადებული e-ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულების პროპორციულად, დაზოგილი თანხების დაახლოებით 36% მოდის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ e-ტენდერებზე. მე-13 დიაგრამაში მოყვანილია ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია ეკონომიის მიხედვით.

დიაგრამა 13:

ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია ეკონომიის მიხედვით



N	შესყიდვის კატეგორია		სავ. ღრებულება	ხელშეკ. ღირებულება	ეკონომია	%
1	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	617,661,689	559,802,752	57,858,937	9
2	45400000	შენობის მოწყობის სამუშაოები	109,944,385	93,537,813	16,406,572	15
3	77300000	მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	22,499,500	16,569,450	5,930,050	26
4	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	25,892,151	21,244,070	4,648,081	18
5	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	30,093,330	25,969,581	4,123,749	14
6	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	23,497,910	19,629,245	3,868,665	16
7	30100000	საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	17,183,414	13,479,732	3,703,682	22
8	33100000	სამედიცინო მოწყობილობები	21,650,039	18,509,210	3,140,829	15
9	71300000	საინჟინრო მომსახურებები	14,995,600	11,876,304	3,119,296	21
10	45300000	სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები	22,539,505	19,804,631	2,734,874	12
	ჯამი		**905,957,523**	**800,422,789**	**105,534,734**	**12**

დიაგრამა 14 ასახავს ტოპ 10 CPV კატეგორიას ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობის მიხედვით. 2011 წელთან შედარებით, მონაწილეობის ინტენსივობა განსაკუთრებით გაიზარდა მომსახურების სფეროებში (მაგ. სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება, გამწვანებასთან დაკავშირებული მომსახურებები, დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები).

დიაგრამა 14:

ტოპ 10 CPV შესყიდვის კატეგორია საშუალო მონაწილეობის მიხედვით



N	შესყიდვის კატეგორია		ტენ. რაოდენობა	მონაწ. რაოდენობა	მონაწ. საშუალო	ეკონომია	%
1	90900000	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	219	555	2.53	2,434,292	19
2	45400000	შენობის მოწყობის სამუშაოები	1,379	3,295	2.40	16,464,799	15
3	39800000	საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები	82	197	2.40	239,157	22
4	14800000	სხვადასხვა არალითონური მინერალური პროდუქტები	5	12	2.40	12,923	30
5	22800000	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები	159	380	2.39	505,125	30
6	09200000	ნავთობის, ქვანახშირისა და ზეთის პროდუქტები	70	166	2.37	404,205	24
7	48700000	პროგრამული პაკეტების უტილიტები/მომსახურე პროგრამები	28	64	2.29	112,026	20
8	44300000	კაბელი, მავთული და მათთან დაკავშირებული მასალები	34	77	2.26	114,102	20
9	37500000	თამაშები და სათამაშოები; ატრაქციონები	29	65	2.24	749,083	20
10	33700000	პირადი ჰიგიენის პროდუქტები	91	202	2.22	541,210	22
	ჯამი		**2,096**	**5,013**	**2.35**	**21,576,922**	**16**

 დიაგრამა 15:

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების განაწილება შესყიდვის საშუალებების მიხედვით



2012 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები დადებულია 2,771,183,391 ლარზე, საიდანაც შესყიდვების 55% განხორციელდა e-ტენდერების მეშვეობით[1] (იხ. დიაგრამა 15) აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2011 წელს 66% პროცენტი შეადგინა. e-ტენდერების ხვედრითი წილის შემცირება უმეტესწილად მთავრობის/პრეზიდენტის თანხმობით განხორციელებული გამატრივებული შესყიდვების 200 მლნ.-მდე ლარით გაზრდით იქნა გამოწვეული.

1 მაჩვენებელი შეიცავს საწვავზე კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული ხელშეკრულებების ჯემურ ღირებულებას, რომელიც შეადგენს 140 მლნ. ლარს.

CPV კოდები

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისათვის სახელმწიფო შესყიდვებში დაინერგა ევროკავშირის მიერ შემუშავებული შესყიდვის ობიექტთა საძიებო კატალოგი. მასში თითოეულ ობიექტს გააჩნია საიდენტიფიკაციო კოდი. კოდები იერარქიულად არის განლაგებული. სწორედ ამ კოდებისა და მათი იერარქიიდან გამომდინარეობს შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება და მათთან დაკავშირებული მონეტარული ზღვრები.



CPV კოდების გამოყენებამ ბოლო მოუღო გაურკვევლობას შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნების თაობაზე. სიახლემ ასევე გააადვილა მონიტორინგი და შეამცირა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების ხელოვნური დაყოფის ფაქტები. კოდების გამოყენება ამარტივებს საინტერესო ტენდერების იდენტიფიცირებას უცხოური კომპანიებისათვის. დღეისათვის, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებულია 150–ზე მეტი უცხოური კომპანია და ჯამში დადებულია 58 ხელშეკრულება.

შავი სია

სააგენტო უზრუნველყოფს შავი სიის წარმოებას. შავ სიაში რეგისტრირებულ კომპანიებს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალებათ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. შესაბამისად, შავი სია ინტეგრირებულია e-სისტემაში, რის შედეგად e-ტენდერში მონაწილეობა შეუძლებელი ხდება შავ სიაში მყოფი კომპანიისთვის.

დიაგრამა 16:

შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა



შავ სიაში მყოფი მიმწოდებლების შესახებ მონაცემები განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge

თეთრი სია



თეთრი სია წარმოადგენს კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრს რომელიც ელექტრონულად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის;

თეთრ სიაში მყოფი მიმწოდებლები სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობენ კიდევ უფრო გამარტივებული პროცედურებით, კერძოდ:

- ტენდერში მონაწილეობისას თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება საკვალიფიკაციო მონაცემების (საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ, ცნობა სასამართლოდან გადახდისუუნარობის საქმის არარსებობის შესახებ და ა.შ.) დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან, იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას;
- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტიას (ნაცვლად წინასწარ გადასახდელი თანხის ტოლი ოდენობის გარანტიისა);
- თეთრ სიაში დარეგისტრირებული კომპანია, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლოა გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.

თეთრ სიაში მიმწოდებლის დარეგისტრირება ხდება 1 წლის ვადით. თეთრ სიაში ყოფნა მიმწოდებლების საიმედოობას, კეთილსინდისიერებასა და პრესტიჟულობას უსვამს ხაზს.

დიაგრამა 17:

თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა



დავების საბჭო

სახელმწიფო შესყიდვებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ასამაღლებლად და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად 2010 წლის 10 დეკემბერს შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული [დავების განხილვის საბჭო](). 2012 წლის განმავლობაში შემუშავდა დავების საბჭოს მოდერნიზირებული მოდულის აღწერა, მომდევნო წლის პირველ კვარტალში გაშვების მიზნით. აღწერილობის მიხედვით, შესაძლებელია ტენდერის ელექტრონული ფორმით გასაჩივრება, რაც ღილაკზე თითის ერთი დაჭერით ხორციელდება. გასაჩივრებული ტენდერი 10 სამუშაო დღის ვადით შეჩერდება. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდება დავების განხილვის საბჭოს მიერ აღნიშნული საჩივრის განხილვა და შედეგების e-სისტემაში განთავსება.

დავების განხილვის საბჭო დაკომპლექტებულია 6 წევრით, რომლებიც თანაბრად ნაწილდება სააგენტოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე.

საბჭოს წევრები

2011 წელს მხოლოდ 67 დავა იყო, მაშინ როდესაც 2012 წელს 128 დავა იქნა განხილული.

დიაგრამა 18:

დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრების რაოდენობა



დიაგრამა 18 გვიჩვენებს, რომ შემოსული საჩივრების რაოდენობა კორელაციაშია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობასთან (იხ. ასევე დიაგრამა 7). გარდა ამისა, დიაგრამაში ჩანს, რომ წინა წელთან შედარებით დავების რიცხვმა თითქმის 100%–ით იმატა, რაც სისტემის მომხმარებელთა მხრიდან საბჭოს მიმართ ნდობის ამაღლებაზე მიუთითებს. უნდა აღინიშნოს, რომ დავების საბჭო არა მხოლოდ ხელს უწყობს შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების უფლებების დაცვას, არამედ ის უზრუნველყოფს სწრაფ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს, ხდის უფრო გამჭვირვალეს შესყიდვების პროცესს და, ამავდროულად, ამცირებს განსახორციელებელი მონიტორინგის მოცულობას.

შემოსულ საჩივრებზე მინიჭებული სტატუსების რაოდენობრივი სტატისტიკა აღწერილია მე–19 დიაგრამაში. დიაგრამა რაოდენობრივად აღწერს დავების განხილვის საბჭოს საქმიანობას და გვიჩვენებს, რომ საჩივრების მხოლოდ მეშვიდედი იქნა მიჩნეული დაუშვებლად. აღსანიშნავია, რომ დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებების უმეტესი ნაწილი მიღებულ იქნა ბიზნეს სექტორის სასარგებლოდ. ჩვენთვის უცნობია ისეთი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები უფრო სწრაფად, ეფექტურად და სამოქალაქო საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობით წყდება.

დიაგრამა 19:

დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრები სტატუსების მიხედვით



სულ 128 შემოსული საჩივარი

მონიტორინგი და კომუნიკაცია

2012 წლის განმავლობაში სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შედგენილ იქნა 10 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სულ 31 სამართალდამრღვევი პირის მიმართ და გადაგზავნილ იქნა სასამართლოში შემდგომი რეაგირებისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საჯარიმო სანქცია გამოყენებულ იქნა 16 სამართალდამრღვევი პირის შემთხვევაში, რის შედეგადაც შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკუთარი ჯიბიდან მოუწიათ 24,000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა. 15 სამართალდამრღვევი პირის მიმართ სასამართლო შემოიფარგლა შენიშვნით. მიღებულია და დამუშავებულია 5,754 კორესპონდენცია. გაგზავნილია 6,094 წერილი/რეკომენდაცია.

სისტემის მომხმარებლების სხვადასხვა საკითხებზე ინფორმირების მიზნით -სისტემის მეშვეობით გაგზავნილია 4,906,085 სისტემური შეტყობინება.

დაინტერესებული პირების მიმართ გაცემული საჯარო ინფორმაცია ქაღალდის სახით შეადგენს 2,629 გვერდს, ხოლო ელექტრონულ მატარებლებზე ამ ინფორმაციის მოცულობა არის 8.7 გეგაბაიტი.

კონკურსი

სახელმწიფო შესყიდვების სიახლეს წარმოადგენს ტენდერების ალტერნატიული შესყიდვის საშუალება – კონკურსი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი ტიპისა თუ შინაარსის საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რაც სახელმწიფო სექტორის მხრიდან ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

დიაგრამა 20:

კონკურსი სტატუსების მიხედვით



სულ 402 გამოცხადებული კონკურსი

საზოგადოების ინტერესი e-სისტემის მიმართ

ელექტრონული შესყიდვების წარმატებას და მისდამი დიდი ინტერესის არსებობას ხაზს უსვამს სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის www.procurement.gov.ge ვიზიტორთა რაოდენობა (იხ. დიაგრამები 21 და 22). დიაგრამებიდან იკვეთება, რომ ვებგვერდმა დაინტერესება გამოიწვია მსოფლიოს უმეტესი ნაწილის მხრიდან. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 5 წუთს აღემატება, რაც ვიზიტორთა მხრიდან ვებგვერდის შინაარსის მიმართ ინტერესზე მიუთითებს.

დიაგრამა 21:

ვიზიტების სტატისტიკა



1,816,277 ვიზიტი

207,563 უნიკალური ვიზიტორი

5,172,986 გვერდის ნახვა

2.85 გვერდი/ვიზიტი

00:05:25 საშუალო ვიზიტის ხანგრძლივობა

10.37% ახალი ვიზიტი

89,6% დაბრუნებული ვიზიტორი

10,4 % ახალი ვიზიტორი

დიაგრამა 22:
სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის ვიზიტორების სტატისტიკა ადგილმდებარეობის მიხედვით



	ქვეყანა/ტერიტორია	ვიზიტები	გვერდები/ვიზიტი	საშ. ვიზიტის ხანგრძლივობა	% ახალი ვიზიტები
1	საქართველო	1,766,092	2.85	00:05:27	10.11%
2	თუქრეთი	2,728	2.87	00:03:48	47.03%
3	უკრაინა	2,103	3.50	00:04:05	27.39%
4	შეერთებული შტატები	1,878	2.02	00:02:47	39.24%
5	რუსეთი	1,268	3.85	00:03:07	54.81%
6	გერმანია	1,262	2.57	00:03:15	38.35%
7	სომხეთი	888	2.94	00:04:04	32.66%
8	ინდოეთი	806	2.82	00:03:51	61.79%
9	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	799	5.41	00:07:30	9.14%
10	დიდი ბრიტანეთი	525	2.38	00:02:52	43.81%
11	ჩინეთი	501	3.34	00:05:20	32.34%
12	საფრანგეთი	486	2.51	00:29:14	25.31%
13	შვეიცარია	449	1.91	00:02:12	36.53%
14	ესპანეთი	449	2.51	00:03:14	25.61%
15	იტალია	429	2.29	00:03:10	51.52%

კონკურენციის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 1 იანვრიდან შეუერთდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

2012 წლის განმავლობაში კონკურენციის სფეროში სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენდა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის“ იმპლემენტაცია, რომელიც დამტკიცებული იყო 2010 წლის 3 დეკემბერის საქართველოს მთავრობის N1551 დადგენილებით.

ამ სფეროში სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო:

- კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა;
- სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;
- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობა კონკურენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა

- სააგენტოს მონაწილეობით შემუშავდა და 2012 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- სააგენტომ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტები:
  - სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის შესახებ;
  - საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის შესახებ;
  - ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრის შესახებ;
  - სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;
- სააგენტომ შეიმუშავა ნორმატიული აქტის პროექტი „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესისა და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების შესახებ“.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) მოლაპარაკება

2009 წლის 26 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო ევროკომისიის შეფასების ამსახველი დოკუმენტი ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებისათვის საქართველოს მზადყოფნის თაობაზე. მოლაპარაკების დაწყების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა. ევროკომისიის რეკომენდაცია იყო კონკურენციის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებდა შემდეგ კომპონენტებს:

- ინსტიტუციურ რეფორმას, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა და ეფექტიანი საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელება;
- კონკურენციის ჩარჩო კანონის შემუშავებას და მიღებას;
- ღონისძიებებს, რომელიც უზრუნვეყოფს მიღებული კანონის იმპლემენტაციას, მათ შორის, შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

2011 წლის 25 მაისს ევროკომისიამ საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის, ეკონომიკისა და შესაბამისი საკითხების ქვეკომიტეტის მე-10 სხდომაზე აღიარა საქართველოს მიერ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწაში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა.

სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ევროკომისიასთან მოლაპარაკების რაუნდებში. კონკურენციის თავზე გაიმართა მოლაპარაკების ორი რაუნდი. მოლაპარაკება კონკურენციის თავზე წარმატებით დასრულდა 2012 წლის მაისში.

როგორ შეგვაფასეს

- დეკემბერი 2012

2012 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ 68-ე ადგილიდან 51–ზე გადაინაცვლა, რაშიც მნიშვნელოვანი წილი e-სისტემამ შეიტანა (ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://transparency.ge/en/post/corruption-perception-index-cpi/corruption-perception-index-2012);

- ნოემბერი 2012

სახელმწიფო შესყიდვების კუთხით საქართველომ დაიმსახურა საუკეთესო შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის (ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/finance-and-investment/sme-policy-index-eastern-partner-countries-2012_9789264178847-en)

- მაისი 2012

გაერომ ჩვენი ელექტრონული ტენდერების სისტემა მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარა (ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.unpan.org/Regions/AsiaPacific/PublicAdministrationNews/tabid/115/mctl/ArticleView/ModuleId/1467/articleId/31880/Default.aspx).

ჩვენი პარტნიორები

giz BMZ Federal Ministry for Economic Cooperation and Development

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ქ. თბილისი, პეკინის გაზმ. N28 / (+99532) 2 148 881

procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

თბილისი 2013